# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 4 თებერვალი 2005 №23 (2346) ფასი 50 თეთრი




# ზურაბ ჟვანია

არა, საქართველო პრემიერ-მინისტრის გარეშე არ დარჩება,
მაგრამ ის უკვე დარჩა ზურაბ ჟვანიას გარეშე.
ზურაბ ჟვანია ნამდვილად ხალხის არჩეული ხელისუფლების ლიდერთაგანი იყო.
ის იყო ერთ-ერთი მათგანი, ვინც საქართველოს ისტორიის ბოლო ეპოქა შექმნა...

# იაშვილის პირველი რეინჯერსული
## სანდრო და ზურა თბილისში მოდიან

**ერთი კვირაა,** თბილისის „დინამოს" მიერ ტრანსფერზე დაყენებული 20 წლის სანდრო იაშვილი „გლაზგო რეინჯერსშია" გასინჯვაზე. გუშინ კი იაშვილმა პირველი რეინჯერსული მატჩი ითამაშა — აიბროქსელებმა საკუთარ ბაზაზე შოტლანდიის ერთ-ერთი ქვედალიგელი გუნდი ისტუმრეს და 2:1 მოუგეს.

ამ ამხანაგურ შეხვედრაში ახალტრავმამოშუშებულმა შოთა არველაძემაც ითამაშა — ის და ზურაბ ხიზანიშვილი პირველ ტაიმში გაისარჯნენ, იაშვილმა კი მეორე 45 წუთი ითამაშა და, როგორც არველაძემ გვითხრა, საკმაოდ ნორმალურადაც.

რაც შეეხება ზურაბ ხიზანიშვილს, კლუბის მიერ შეთავაზებულ ახალ კონტრაქტზე ხელმოუწერლობის გამო უკვე ოთხი ტური არ უთამაშია, თუმც ის ეროვნული ნაკრების თავკაცმა ალენ ჟირესმა გუშინ 9 თებერვლის ლიტვასთან მატჩისთვის მიიწვია. მიწვევა მიუვიდა იაშვილსაც — მას გოჩა ტყებუჩავამ ახალგაზრდულ ნაკრებში დაუძახა სალიტვოდ.

მოკლედ, ხიზანიშვილი და იაშვილი ზეგ თბილისში ჩამოვლენ.

**დავით თავართქილაძე**

# რა მოხდა ტრაბზონსპორის ბაზაზე
## თამაში აქეთ, გიუნეში იქით

**თუ გუშინწინ** თბილისის „ლოკომოტივის" მეორე, ახალგაზრდულმა შემადგენლობამ თურქეთის სუპერლიგის „სებათსპორს" დუბლები დაუმარცხა, გუშინ „ლოკომოტივის" პირველი გუნდი „ტრაბზონსპორის" შერეულ შემადგენლობას შეხვდა და 2:0 მოუგო.

„ტრაბზონსპორმა" მეტწილად დუბლშემადგენლობის ფეხბურთელები გაიყვანა „ლოკომოტივთან", თუმც როგორც „ლოკომოტივის" მთავარმა მწვრთნელმა ჯემალ ჩიმაკაძემ გვითხრა, მეტოქეს ისეთი მოთამაშეებიც ჰყავდა, ხანდახან პირველი გუნდის განაცხადშიც რომ ხვდებიან.

მატჩი „ტრაბზონსპორის" ბაზაზე გაიმართა. გვერდით მოედანზე პირველ გუნდს შენოლ გიუნეში ავარჯიშებდა და ხანდახან თამაშსაც გასცქეროდა.

„ლოკომოტივის" შემადგენლობა ასეთი იყო: *გვარამაძე (სტურუა 46) — ექონია, მახვილაძე, გ. ონიანი, მანჩხავა — ქებაძე, რამონი (ფოფხაძე 85), რ. ონიანი — ყეანი (კახელიშვილი 80), ბობოხიძე (სეთურიძე 55) — სირბილაძე (ალავერდაშვილი 80).*

ლოკომოტიველებმა 4-3-2-1 სქემით დაიწყეს თამაში, მაგრამ ბობოხიძის სეთურიძით შეცვლის შემდეგ 4-4-2-ზე გადავიდნენ. გოლები სირბილაძემ (35 წუთი) და ალავერდაშვილმა (85 წუთი) გაიტანეს.

„ლოკომოტივი" თბილისში 6 თებერვალს დაბრუნდება, მანამდე ერთი საკონტროლო თამაშის გამართვასაც ეცდება.

**დავით თავართქილაძე**

### იტალია

**სერია A. XXII ტური**

ბოლონია 3:1 პარმა

**სერია B. XXV ტური**

ალბინოლეფე 4:0 პესკარა
ასკოლი 2:2 არეცო
ბარი 1:1 ჩეზენა
კროტონე 0:1 ვიჩენცა
ჯენოა 0:0 ტორინო
პიაჩენცა 1:0 მოდენა
ტერნანა 1:1 ემპოლი
ტრევიზო 1:0 პერუჯა
ტრიესტინა 1:0 სალერნიტანა
ვერონა 1:0 ვენეცია

### ჰოლანდია

**მეორე დივიზიონი გადადებული მატჩები**

სიტარდი 1:1 დორ რეხტი
ჰელმონდი 2:2 ვეენდამი
ოსი 2:0 კამბური

### ესპანეთი

**სამეფო თასი. 1/4 ფინალი საპასუხო მატჩი**

ვალიადოლიდი 0:1 *ბილბაო* (2:3)

### საბერძნეთი

**თასის 1/8 ფინალი საპასუხო მატჩები**

ეთნიკოსი 1:2 *არისი* (1:2)
პანათინაიკოსი 1:3 *აეკ* (1:1)


**ფრანგულ-ქართული კომპანია "ლეონსიო"**

(ელექტრონული დაცვის სისტემები)

**გთავაზობთ**

დისტანციური მართვის უკაბელო სიგნალიზაციის მონტაჟს ოფისებსა და ბინებში საგანგაშო (SOS) ღილაკით

მონტაჟი უფასოა

უპროცენტო განვადებით



მისამართი: ბოდბეს შეს. №6, ქ. თბილისი
ტელ: (995 32) 26 80 80, (995 32) 27 30 99
ფაქსი: (995 32) 27 30 99

ისეთივე საიმედო, როგორც მოედანზე!





რომან ახალკაცი იური სიომინის სიტყვას ელის

# ახალკაცს მეტალისტზე მოსკოვში ეტყვიან

**მოსკოვის** „ლოკომოტივის" სარეზერვო გუნდი თურქულ ქალაქ კირიშში ემზადება საახალსეზონოდ. გუნდთან ერთადაა ქართველი თავდამსხმელი რომან ახალკაციც, რომელიც წინა სეზონში პირველდივიზიონელ კალინინგრადის „ბალტიკაში" იყო განათხოვრებული.

გუშინწინ პატარა რკინიგზელებმა ამხანაგური მატჩი გამართეს ყაზახურ „ბოგატირთან" და 4:2 მოიგეს, ახალკაცმა კი მეორე ტაიმი ითამაშა.

შეკრების დასრულებამდე „ლოკომოტივი 2"-ს კიდევ ოთხი ტესტ-მატჩი აქვს დაგეგმილი, მოსკოვში კი 10 თებერვალს დაბრუნდება. სწორედ იმ დროისთვის გაირკვევა ახალკაცის ბედიც — სადღეისოდ მისით უკრაინული „მეტალისტია" დაინტერესებული, თუმც ისიც მოსალოდნელია, რომ ჩვენებური „ლოკომოტივში" დარჩეს.

**ძაბა შალამბერიძე**

# რუმინელებმა მერმკლემ მოათვინიერა

**საქართველოს** ჩემპიონი „ვიტ ჯორჯია" ანთალიაში საკონტროლო შეხვედრებს მართავს. ვიტელების პირველი სპარინგ-მეტოქე რუმინეთის უმაღლესლიგელი კრაიოვას „უნივერსიტატია" იყო — თბილისელები უპირატესობას კი ფლობდნენ, მაგრამ არაერთი მომენტი გააცუდეს და საბოლოოდ 1:1 ძლივს გაახერხეს. „ძლივს" იმიტომ, რომ „უნივერსიტატია" (გეხსომებათ, ეს კლუბი თბილისის „დინამოს" თავის დროზე უეფას თასიდან გაუგდია) პირველი ტაიმის მიწურულს კლეშანმა დააწინაურა და „ვიტ ჯორჯიამ" გამთანაბრებელი გოლი მხოლოდ 84-ე წუთზე შეაგდო — თბილისელთაგან ერეკლე მერაბაშვილმა იყოჩაღა.

**ილია ნანობაშვილი**



# დინამო ზღვაზეა
## ზაალ ელიავა თბილისში დარჩა

**თბილისის** „დინამო" მარბელაშია და საერთაშორისო ოთხთა ტურნირში სათამაშოდ ემზადება.

დინამოელები ესპანეთში გუშინ საღამოს 21 ფეხბურთელით ჩავიდნენ და გუშინვე მსუბუქად ივარჯიშეს. „დინამოს" მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ სამარბელოდ 23 ფეხბურთელი კი შეარჩია, მაგრამ გამგზავრების წინ ორი გამოაკლდა. კაპიტანი გიორგი ნემსაძე გუნდს ხვალ-ზეგ შეუერთდება, ხოლო ახალწვეული ზაალ ელიავა „დინამოს" თბილისში დაელოდება — მან შეკრებაზე დააგვიანა და გუნდიც უმისოდ გაფრინდა. ელიავას მომავალზე ჯერ არაფერს ამბობენ, თუმც შესაძლოა, ის „დინამოს" მიღმა დარჩეს.

შეგახსენებთ, რომ თბილისელები ხვალ სანკტ-პეტერბურგის „ზენიტს" ეთამაშებიან, 7 თებერვალს დონეცკის „შახტარს", 9-ში კი მოსკოვის „სპარტაკს".

„დინამო" შინ 10 თებერვალს დაბრუნდება და 14-ში ზესტაფონში საქართველოს თასის მერვედფინალის საპასუხო მატჩს ითამაშებს.

**ლუკა თალაკვაძე**

**2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I შესარჩევი ჯგუფი**

**ჩვენი მეტოქე**

# მეფე ოტოს რჩეული ოცეული

### საბერძნეთი

**9 თებერვალს** ევროპის ჩემპიონი, ამჟამად კი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში საქმეგამრუდებული საბერძნეთი ათენში დანიელებს უმასპინძლებს. ელინელთა გერმანელმა თავკაცმა ოტო რეჰაგელმა საამმატჩოდ ვერ გამოიძახა „კიოლნის" ტრავმირებული გამთამაშებელი ვასილის ცარტასი, რომელმაც ამავე შესარჩევში უკრაინასთან ულამაზესი გოლი გაიტანა.

დანარჩენ ბერძნებს კი წარდგენა არ სჭირდებათ, „მეფე ოტოს" 20-კაციან სიაში დებიუტანტი არავინაა.

*მეკარეები: ანტონის ნიკოპოლიდისი (ოლიმპიაკოსი), კოსტას ხალკიასი (პორტსმუთი, ინგლისი);*

*მცველები: იურკას სეიტარიდისი (პორტუ, პორტუგალია), ტრაიანოს დელასი (რომა, იტალია), პანაიოტის ფისასი (ბენფიკა, პორტუგალია), იოანის გუმასი (პანათინაიკოსი), მიხალის კაპსისი (ბორდო, საფრანგეთი), სოტირის კირიაკოსი (გლაზგო რეინჯერსი, შოტლანდია);*



ოტო რეჰაგელი ვასილის ცარტასს მოისაკლისებს

*ნახევარმცველები: გეორგიოს კარაგუნისი (ინტერი, იტალია), ანგელოს ბასინასი (პანათინაიკოსი), კოსტას კაცურანისი (აეკ), თეო ზაგორაკისი (ბოლონია, იტალია), სტელიოს იანაკოპულოსი (ბოლტონი, ინგლისი), გეორგიოს გეორგიადისი, პანტელის კაფესი (ორივე ოლიმპიაკოსი), ვასილის ლაკისი (კრისტალ პალასი, ინგლისი);*

*თავდამსხმელები: იოანის ამანატიდისი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), ანგელოს ხარისტეასი (აიაქსი, ჰოლანდია), ზისის ვრიზასი (სელტა, ესპანეთი), დიმიტრის პაპადოპულოსი (პანათინაიკოსი).*



# დევაძე თბილისმა აზარალა
## ნაკრების მეკარე სპარტაკში დაბრუნდა

„თბილისის" დაშლამ, შეიძლება ითქვას, ყველაზე მეტად საქართველოს ნაკრების მეკარე აკაკი დევაძე აზარალა. ტრანსფერზე დაყენებულმა სხვა ფეხბურთელებმა ახალ თავშესაფარს მეტ-ნაკლებად მიაგნეს, კაკო კი ჰაერში გამოეკიდა.

— ეს ამბავი ისეთი მოულოდნელი იყო, რომ სიტუაციაში ხეირიანად ვერც გავერკვიე — გვითხრა გუშინ დევაძემ.

ეროვნული გუნდის კარის დარაჯი, რომელიც ლიტვასთან 9 თებერვლის ამხანაგური მატჩისთვის ალენ ჟირესსაც გამოიძახა, პირველლიგელი „სპარტაკის" კუთვნილებაა და „თბილისში" იჯარის წესით თამაშობდა.

— კონტრაქტი „სპარტაკთან" მაქვს და ალბათ ამ გუნდში დაბრუნება მომიწევს. სხვა გზა არ მაქვს, დროც ძალიან ცოტა მრჩება, 18 თებერვალს ხომ ჩემპიონატის მეორე ეტაპი იწყება. თუ არაფერი გამოჩნდა, „სპარტაკში" ვითამაშებ — ამბობს დევაძე.

კაკოს თქმით, ძველ გუნდში დღეიდან დაიწყებს ვარჯიშს და თან სხვა ვარიანტებსაც დაელოდება. თუ მსგავსი ვერაფერი მიიღო, სეზონის ბოლომდე პირველ ლიგაში ითამაშებს.

არადა, დევაძე ხომ საქართველოს ნაკრების მეკარეა...

**ქახა შალამბერიძე**

# ასათიანი და აშვეთია კრემლში არ შეუშვეს



**რუსეთის** ჩემპიონ „ლოკომოტივის" დაჯილდოების ცერემონიალი 10 თებერვალს სპორტკომპლექს „ოლიმპიისკიში" ჩატარდება. რკინიგზელთა ქართველ ლეგიონერებს, მიხეილ აშვეთიასა და მალხაზ ასათიანს ოქროს მედლებს რუსული ფეხბურთის მამები და სხვა მაღალჩინოსნები გადასცემენ.

თავდაპირველი ჩანაფიქრით კი „ლოკომოტივი" კრემლში უნდა დაეჯილდოვებინათ, თუმც ეს აზრი ბოლოს შეიცვალა.

ამგვარად, რკინიგზელებს „ოლიმპიისკილა" შერჩათ ხელთ, თუმც არა გვგონია, ეს ამბავი დიდად მნიშვნელოვანი იყოს იური სიომინის ბიჭებისთვის, რომლებიც ახლა ესპანეთში არიან საწვრთნელ შეკრებაზე.

**ქახა შალამბერიძე**

# ბათუმს ტერო გადაზიდავს

**ჩემპიონატის** პირველი ეტაპის ბოლოს ლამის დაშლის პირას მისულ „ბათუმს" ახალი პატრონი გამოუჩნდა — საერთაშორისო გადაზიდვების კომპანია „ტერო". ბათუმურ კლუბს ახლა სწორედ ეს ფირმა მიხედავს. როგორც ამბობენ, „ტერო" საკმაოდ შეძლებული კომპანიაა და „ბათუმის" შენახვა არ უნდა გაუჭირდეს. რახნიანი იქნება „ტეროსა" და კლუბის თანამშრომლობა, ამ კითხვაზე კონკრეტულ პასუხს ბათუმელები ვერ იძლევიან, თუმც ამბობენ, რომ „ტერომ" „ბათუმის" პატრონობა აჭარის მთავრობის თხოვნის შემდეგ გადაწყვიტა.

სწორედ „ტეროს" ხელშეწყობით გუნდი უკვე რამდენიმე დღეა, ბათუმშია შეკრებაზე და ჩემპიონატისთვის ემზადება. „ბათუმს" ამხანაგური მატჩების გრაფიკი შედგენილი ჯერ არ აქვს, თუმც გუნდის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ უახლოეს დღეებში ამ საკითხსაც დააზუსტებს. ერთი კი უკვე გადაწყვეტილია, „ბათუმი" 12 თებერვალს თურქულ „ხოფასპორს" უმასპინძლებს, გუნდს, სადაც ბათუმელებმა სეზონის ბოლომდე ნახევარმცველი კახა ქაცარავა გაანათხოვრეს.



მეორე ეტაპზე „ბათუმს" გიორგი მანწკავაც შეეშველება

„ბათუმს" ჰყავს ორი ახალწვეულიც. თბილისის „ლოკომოტივიდან" გიორგი მანწკავა და ბოლნისის „სიონიდან" პაატა ჩოხელი. „ბათუმს" დაუბრუნდა თავდამსხმელი გიორგი ნოდარის-ძე ჭელიძე, რომელიც „თბილისის" ფეხბურთელია და აგვისტოს აქეთ „ბათუმშია" განათხოვრებული. ის ჯერ მოსკოვის „ლოკომოტივში", მოგვიანებით კი სამარის „კრილია სოვეტოვში" აპირებდა გადაბარგებას, მაგრამ ეს საქმე აღარ გამოვიდა. დღეს-ხვალ „ბათუმს" დაუბრუნდება მცველი ნიკა გუშარაშვილიც.

— ჩემპიონატის მეორე ეტაპზე უფრო კარგი და შეკრული გუნდი გვეყოლება. „ბათუმი", ფაქტობრივად, უკვე დაკომპლექტებულია და შემადგენლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები აღარ იქნება — გვითხრა „ბათუმის" მწვრთნელმა ამირან გოგიტიძემ.

**ქობა ინასარიძე**

# ფერო ბალკანელებთან ფერიანდება

**ანთალიურ** შეკრებაზე მყოფ „ზესტაფონს" მცველი ირაკლი ვაშაკიძე შეემატა. როგორც იცით, ვაშაკიძემ ეს სეზონი ბერძნულ „არისში" დაიწყო, თუმც ძირითადში ფეხი ვერ მოიკიდა და გუშინწინ იმერულ კლუბს თურქულ კურორტზე ჩააკითხა. ირაკლის ოფიციალურად გაზესტაფონელება ჯერჯერობით არ მომხდარა, თუმც თბილისის „დინამოსა" და „ლოკომოტივის" ყოფილი მცველი მალე გააფორმებს კონტრაქტს.



საბერძნეთმოვლილი ირაკლი ვაშაკიძე (მარჯვნივ) „ზესტაფონს" შეეკედლა

ამასობაში „ზესტაფონმა" მორიგი ტესტ-მატჩი ითამაშა და ბოსნიის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდ „ჟელეზნიჩარს" 1:1 დაუზავდა — ჩვენიანებიდან გოლი ზურაბ იონანიძემ გაიტანა. თემურ მახარაძემ ბალკანელებს კვლავ ორი შემადგენლობა დაუპირისპირა, რომელთაგან ძირითადში *ქვარხია, ძამსაშვილი, ზ. ჩხეტიანი, ლონლაძე, შაჯგულიძე, თოდუა, განუგრავა, გუჩუა, კ. ჩხეტიანი, ზირაქიშვილი და იონანიძე* იყვნენ.

მეორე ტაიმში კი შეცვლაზე შევიდნენ — *ბ. გოცირიძე, ბესარაშვილი, ნუდნი, თურმანიძე, სულაკაძე, გვარუციძე.*

ხვალ „ზესტაფონი" სერბეთის უმაღლესლიგელ „რადნიჩკის" წაეამხანაგურება და ანთალიური საკონტროლო მატჩების სერიასაც დაასრულებს. ფეროელები 7 თებერვალს ჩამოვლენ თურქული კურორტიდან, ორი დღე თბილისში ივარჯიშებენ, მერე კი მშობლიურ ქალაქში გააგრძელებენ სათასო-საჩემპიონატო მატჩებისთვის მზადებას.

თემურ მახარაძის თქმით, გარდა ვაშაკიძისა, ზესტაფონში ახალწვეული არავინ გამოჩენილა.

„რაც მთავარია, ძალიან ნაყოფიერად ვემზადებით და ამდენი ამხანაგური მატჩის გამართვა საქართველოს ჩემპიონატში აუცილებლად დაგვეტყობა" — თქვა თემურ მახარაძემ.

ასევე არაფერი ისმის გოჩა ხოჯავას „ზესტაფონში" შესაძლო გადასვლაზე. ყოველ შემთხვევაში, კლუბის გენერალური დირექტორი დავით აბაშიძე ამბობს, ხოჯავას საკითხს არ განვიხილავთო.

**ილია ნანობაშვილი**

# თქვენი ინტერვიუ ლევან კობიაშვილთან

«შალკე» გელზენკირხენი, გერმანია



*ფეხბურთი გულშემატკივრისთვისაა და ფეხბურთელებიც ბურთს ქომაგისთვის აგორებენ. „სარბიელის" მეშვეობით კი ამიერიდან გულშემატკივარს საშუალება ექნება კითხვები დაუსვას სახელიან ქართველ ლეგიონერებს. გელზენკირხენის „შალკეს" შუახაზელი ლევან კობიაშვილი პირველია, ვინც „სარბიელის" საშუალებით გულშემატკივართა შეკითხვებს უპასუხებს. მოკლედ, გამოგზავნეთ თქვენი შეკითხვები ელექტრონულ ფოსტაზე ან დარეკეთ ტელეფონზე 5 თებერვლის ჩათვლით 10-დან 18-საათამდე (შაბათის გარდა), მიუთითეთ თქვენი გვარ-სახელი, ასაკი და ქალაქი. ინტერვიუ თქვენი კითხვებითა და ლევან კობიაშვილის პასუხებით გამოქვეყნდება არაუგვიანეს 10 თებერვლისა.*

მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

# სულიკო ჩამომრიგებელი

**საშუასეზონო** პერიოდი ძალას საკონტროლო მატჩებით იკრებს და გუშინ თენგიზ სულაქველიძის საფეხბურთო აკადემიის წიდისსაფარიან მოედანზე პირველლიგელმა „ამერმა“ და უმაღლესლიგელმა „კოლხეთმა“ ისპარინგეს. შეხვედრა „ამერმა“ მოიგო — 2:0.

„კოლხეთმა“ მეორე ეტაპისთვის მზადება „ამერზე“ გვიან დაიწყო, თანაც გუშინდელი მატჩის წინა დღეს „თბილისს“ გაეჯიბრა — არ იყო გასაკვირი, რომ „ამერს“ მეტი ჯანი აღმოაჩნდა და მკვეთრი უპირატესობით სძლია ზღვისპირელებს.

პირველ ტაიმში „ამერს“ ოთხი საგოლე შანსი ჰქონდა — ორ-ორჯერ დავით სევასტოპულოსა და ნიკა ნადირაძეს მართებდათ გატანა.

მეორე ტაიმში გუნდების შემადგენლობები შეიცვალა, თორემ თამაში კვლავ ერთი გუნდის კარნახით მიმდინარეობდა. გოლები ფოთელთა კარში მირზა ბუალავამ (55 წუთი) და რატი წინამძღვრიშვილმა (84) გაიტანეს — ორივე საგოლე პასი სულიკო დავითაშვილმა ჩამოარიგა.

გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს:

*ამერი: ნაჭყებია, კედელაშვილი, ზ. ჯელაძე, გვაძაბია, ბერიანიძე, დეკანოსიძე, გარუჩავა, გ. ჯელაძე, ნადირაძე, ჩხეტიანი, სევასტოპულო.*

მეორე ტაიმში შევიდნენ — *ნადირაშვილი; დავითნიძე, ხვადაგიანი, ა. აბაშიძე, ნიკოლაიშვილი, კაიდარაშვილი, ბუალავა, მჭედლიშვილი, სილაგავა, წინამძღვრიშვილი, დავითაშვილი.*

*კოლხეთი: ბათიაშვილი (ვიზო შენგელია 74), ჭითანავა, ცქიფურიშვილი (ყურაშვილი 81), გოროზია, მინდაძე, ქუტიძე (მალხაზ ძოძუაშვილი 75), ქობულაძე (მარგალიტაძე 71), გ. თოდუა (თაყაძე 73), მელიქა (ვართაგავა 46), აკობია, ზ. ქუთათელაძე (ლებანიძე 71).*

**დავით თავართქილაძე**



გიზო ჯელაძემ ფოთელებს გადაუფრინა



თენგიზ სულაქველიძის სახელობის საფეხბურთო აკადემია

# სულაქველიძის ჩანაფიქრი: სულაქველიძე უმაღლეს ლიგაში



**საბჭოთა კავშირის** ჩემპიონი და თასის მომგები, თასების თასის ამწევი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატთა ფინალური ეტაპების მონაწილე თენგიზ სულაქველიძე გვპირდება, რომ მალე საქართველო ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში თავისი გუნდი ეყოლება.

სულაქველიძემ ბავშთა საფეხბურთო აკადემია 2001 წელს დააფუძნა, რომელიც ერთი სტანდარტული მინდვრით, ორი წიდისსაფრიანი და სამი მიწის მოედნით დიღმის მასივშია გაშენებული. აკადემიაში ახლა დაახლოებით 300 ბავშვი იწვრთნება, მათ შორის პერიფერიებიდან ჩამოსულებიც.

„აკადემიის აღზრდილი რამდენიმე ფეხბურთელი უკვე უმაღლეს ლიგაში თამაშობს: იმედაშვილი, მარცვალაძე, სახოკია და კვახაძე „ვიტ ჯორჯიაში“, შოთა კაშია „დინამოში“, ლაშა ჭელიძე „ტორპედოში“, გიორგი ჭელიძე „ბათუმში“, ზურაბ ექონია „ლოკომოტივში“ — ამბობს სულაქველიძე და განმარტავს, რომ აკადემია საკუთარი ხარჯებით დააფუძნა.

„გაისად ალბათ უკვე რეგიონულ ლიგაშიც გვეყოლება გუნდი. საბოლოო მიზანი კი უმაღლეს ლიგაში თამაშია, რაც ჩვენი აღსაზრდელებით უნდა მოვახერხოთ. მალე ჩვენს სტანდარტულ მოედანს ტრიბუნას მივუშენებთ, თუმც უმაღლესი ლიგისთვის სპონსორები დაგვჭირდება, მეგობრების დახმარების დიდი იმედიც მაქვს“ — გვითხრა სულაქველიძემ.

ისე, დიღმის მასივი მართლაც ერთ-ერთი ყველაზე საფეხბურთო უბანია თბილისში. იქვეა თბილისის „დინამოს“ ბაზა, სულაქველიძის აკადემიასთან ძალიან ახლოს კი კიდევ ერთი ექსდინამოელის, კარლო მჭედლიძის საფეხბურთო სკოლა „ოლიმპიკა“.

**დავით თავართქილაძე**

# სერგო გაბელაია: მალე აზერბაიჯანიც გაგვისწრებს

ზღვისპირეთი ჩვენი საფეხბურთო კარიბჭეცაა, მაგრამ ფოთის „კოლხეთს“ ახლა ოდენ მოკრძალებული მიზანი ამოძრავებს — უმაღლეს ლიგაში დარჩენა. თუმც არგავარდნისთვის მებრძოლ სხვა გუნდებსაც თუ გადავხედავთ, „კოლხეთს“ საქმე ჯერ ნორმალურად მისდის — ფოთელებს ელემენტარული პირობების მხრივ არაფერი უჭირთ — ეს გუნდის მთავარმა მწვრთნელმა სერგო გაბელიამ გვითხრა, ვისაც გუშინ „ამერი“—„კოლხეთის“ მატჩზე შევხვდით

— მეორე ეტაპისთვის „კოლხეთი“ სამმა ფეხბურთელმა დატოვა — ძოძუაშვილმა, ქვაჩახიამ და ღონღაძემ, თუმც შევსებაც მივიღეთ — ბათიაშვილი, მინდაძე, მელიქია და ცქიფურიშვილი, ვისაც ერთი წელი არ უთამაშია, მაგრამ ამ მცველს კარგად ვიცნობ, ხუთი წელი „მერანში“ ჩემი შეგირდი იყო.

**— თქვენი მიზანი არგავარდნისთვის ბრძოლაა. შესაბამისი ფინანსური ზურგი გაქვთ?**

— „კოლხეთს“ ფოთის პორტი აფინანსებს და ჩვენი პრეზიდენტიც პორტის უფროსი თემურ მიმინოშვილი გახლავთ. მოკლედ, გუნდის დაფინანსება უპრობლემოდ ხდება.

**— მეორე ეტაპისთვის მოსამზადებლად თბილისში ჩამოსვლა რატომ არჩიეთ?**

— თბილისში 27 იანვრიდან ვართ და ფოთში 10 თებერვალს დავბრუნდებით. ფოთიდან სხვაგან გასვლა გვინდოდა და თბილისი საამისოდ საუკეთესო ვარიანტად მივიჩნიეთ — აქ, რაც შეიძლება, უფრო მეტ ძლიერ მეტოქესთან თამაშის საშუალება გვაქვს.

**— ჩვენი ჩემპიონატის ერთ-ერთი ძლიერი გუნდი „თბილისი“, ფაქტობრივად, დაიშალა — როგორ შეაფასებთ ქართულ ფეხბურთში შექმნილ ვითარებას?**

— ახლა მხოლოდ ერთი გუნდი ძლიერდება, მაგრამ ეს ერთი გუნდი ამინდს ვერ შექმნის. კიდევ ის, რომ საქართველოს ჩემპიონატში გუნდები ერთმანეთს ყველაზე უფრო უკეთესი მოსამზადებელი პირობებით ჯობნიან, თუმც მოსამზადებელი პირობები საერთოდ არ უნდა იყოს სიძლიერის განმსაზღვრელი — ნორმალური მოსამზადებელი პირობები ყველა გუნდს უნდა ჰქონდეს. თუ მთავრობამ არ მიხედა ფეხბურთს, არაფერი გამოვა, მალე აზერბაიჯანიც გაგვისწრებს.

**დავით თავართქილაძე**



სერგო გაბელაია შეგირდებს ტესტ-მატჩებს არ აკლებს

## იტალია

### სერია A. XXII ტური

**მესინა 1:4 მილანი**

0:1 კრესპო (9), 0:2 ტომასონი (18), 1:2 ძამპანა (33), 1:3 კრესპო (64), 1:4 ტომასონი (90)
*პირლომ ვერ გაიტანა პენალტი (74, მეკარე)*
მესინა: სტორარი, ზორო კპოლო, არონიკა, რეზაეი, პარიზი (რაფაელი 67), ძანკი, ჯამპა (დაგოსტინო 67), კოპოლა, დონატი, იანაგისავა, ძამპანა (დი ნაპოლი 74)
მწვრთნელი: ბორტოლო მუტი
მილანი: დიდა, კაფუ (სტამი 71), ნესტა, მალდინი, კალაძე, გატუზო, პირლო, ზეედორფი, კაკა (პანკარო 88), კრესპო (ამბროზინი 74), ტომასონი
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: ძანკი, ტომასონი, ძამპანა, ნესტა, სტორარი
მსაჯი: ბერტინი
39 000 მაყურებელი

**იუვენტუსი 0:1 სამპდორია**

0:1 დიანა (34)
იუვენტუსი: ბუფონი, ბირინდელი (მონტერო 75), ტურამი, ფ. კანავარო, ძამბროტა, კამორანეზი, ემერსონი, ტაკინარდი (იბრაჰიმოვიჩი 46), კაპო (ბლაზი 20), დელ პიერო, ტრეზეგე
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
სამპდორია: ანტონიოლი, კ. ძენონი, მ. კასტელინი, ფალკონე, მ. პიზანო, დიანა (ედუსეი 84), პალომბო, ვოლპი, ტონეტო, ფლაკი, როსინი (კუტუზოვი 88)
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
გაფრთხილება: კამორანეზი, როსინი, ბირინდელი
მსაჯი: მესინა
23 000 მაყურებელი

**ინტერი 1:0 ატალანტა**

1:0 მარტინსი (32)
ინტერი: კარინი, ხ. ძანეტი, ი. კორდობა, მატერაცი, ფავალი, ხ. ვერონი, ემრე, კამბიასო, დ. სტანკოვიჩი (დავიდსი 78), ვიერი, ო. მარტინსი (კილი გონსალესი 90)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
ატალანტა: კალდერონი, მ. მოტა, კაპელი (სალა 76), ნატალი, ბელინი, პაგანო (ინოჩენტი 46), მინგაცინი, მილაჩიო, მონტოლივო (მ. მარკოლინი 58), მაკინვა, სინიგალია
მწვრთნელი: დელიო როსი
გაფრთხილება: ემრე, მილაჩიო, ნატალი, ინოჩენტი
მსაჯი: რაკალბუტო
48 479 მაყურებელი

**უდინეზე 3:0 კიევო**

1:0 იანკულოვსკი (47), 2:0 მორო (52ს.კ.), 3:0 იაკინტა (82)
უდინეზე: დე სანქტისი, ბერტოტო, სენსინი, ფელიპე, იანკულოვსკი (პაზიენცა 86), დ. პიზარო, მუნტარი, პიერი (დ. ძენონი 77), დი მიკელე (მაური 62), იაკინტა, დი ნატალე
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
კიევო: მარკეჯანი, მალაგო (ამაური 62), ფ. მორო, მანდელი, დანა, ს. ლანა, სამარკო (ძანკეტა 62), ბრიგი, სემიოლი, ტირიბოკი, პელისიერი (ლუსიანო 59)
მწვრთნელი: მარიო ბერეტა
გაფრთხილება: მუნტარი, მორო, სემიოლი
მსაჯი: ტალიავენტო
17 000 მაყურებელი

**ლეჩე 1:1 რომა**

0:1 ჯაკომაცი (49ს.კ.), 1:1 ვუჩინიჩი (79)
ლეჩე: სიჩინიანო, კასეტი, დიამუტენე, სტოვინი, რულო, ჯაკომაცი, ლედესმა, დალა ბონა, კონანი (ანჯელო 65), ვუჩინიჩი (აბრუცეზე 84), პინარდი (ხ. ვალდესი 46)
მწვრთნელი: ზდენეკ ზემანი
რომა: ძოტი, მ. ფერარი, დელასი, მექსეში, პანუჩი, მანსინი (პეროტა 84), დე როსი, დაკური (აკილანი 57), ტოტი, მონტელა, ა. კასანო
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
გაფრთხილება: ვალდესი, დე როსი, ჯაკომაცი, ფერარი, კასეტი, დალა ბონა
გაძევება: ლედესმა (69)
მსაჯი: ტრეფოლონი
13 400 მაყურებელი

**ლაციო 0:0 ბრეშა**

ლაციო: პერუცი, ოდო, სივილია, ტალამონტი, ო. ლოპესი (კ. მანფრედინი 63), ა. ფილიპინი, ე. ფილიპინი, დაბო, სერიჩი (ლევა 47), დი კანიო (ბაცანი 78), როკი
მწვრთნელი: ჯუზეპე პაპადოპულო
ბრეშა: კასტელაცი, ჟ. მარტინესი, ადანი, დი ბიაჯო, ძობოლი, დალამანო, გუანა, მილანეტო, დომიცი (სკული 82), კარაჩოლო (დი პასკუალე 90), მ. დელვეკიო (მანინი 66)
მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი
გაფრთხილება: როკი, კარაჩოლო, მარტინესი, დელვეკიო
მსაჯი: ტომბოლინი
30 000 მაყურებელი

**ფიორენტინა 1:2 პალერმო**

0:1 ლუპატელი (57ს.კ.), 0:2 გონსალესი (69), 1:2 მიკოლი (71)
ფიორენტინა: ლუპატელი, დელი კარი, ვიალი, დაინელი, არიატი, ჰ. ნაკატა (იორგენსენი 46), დონადელი, ობოდო (რიგანო 75), კიელინი, ბოგინოვი, მიკოლი
მწვრთნელი: დინო ძოფი
პალერმო: გუარდალბენი, ფერი, ბარძალი, ძაკარდო, მუტარელი, ბარონე, კორინი (მორონე 74), გროსო, სანტანა, ტონი, პოსანცინი (მ. გონსალესი 55)
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
გაფრთხილება: არიატი, კორინი, ვიალი, ბარონე, ტონი, ძაკარდო, ფერი
მსაჯი: ბერგონცი
30 000 მაყურებელი

**სიენა 2:2 კალიარი**

1:0 კიეზა (4), 2:0 ფლო (37), 2:1 ლოპესი (58), 2:2 ბიანკი (84)
სიენა: ფორტინი, ჩირილო, ტუდორი, კოლონეზე, პასკუალე, ტადეი (ალბერტო 46), დავერსა (დი დონატო 79), ვერგასოლა, პეკია (ფალზინი 55), კიეზა, ტ. ფლო
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
კალიარი: იეცო, დ. ლოპესი, ლორია, ბეგა, აგოსტინი, აბეიხონი (ლანგელა 79), კონტი, გობი (ბუდელი 61), მ. ესპოზიტო, ძოლა, სუაცო (ბიანკი 83)
მწვრთნელი: დანიელე არიგონი
გაფრთხილება: დავერსა, პასკუალე, ბეგა, პასკუალე
გაძევება: პასკუალე (57), ლოპესი (65)
მსაჯი: კასტელანი
8 000 მაყურებელი

**ლივორნო 1:1 რეჯინა**

0:1 პარედესი (14), 1:1 ვიდიგალი (84)
ლივორნო: ამელია (მარეჯინი 46), გრანდონი, ხ. ვარგასი (გალანტე 43), მელარა (პროტი 63), ბალერი, პასონი, ვიდიგალი, რუოტოლო, ვიჯანი, დანილევიჩუსი, კ. ლუკარელი
მწვრთნელი: რობერტო დონადონი
რეჯინა: სოვიერო, ძამბონი, კანარზა, ი. ფრანჩესკინი, მესტო, კ. პარედესი (პიკოლო 85), მოცარტი, ბალესტრი, ნაკამურა (ტედესკო 66), ჯ. კოლუჩი, ბონაცოლი (ბორიელო 75)
მწვრთნელი: ვალტერ მაცარი
გაფრთხილება: პროტი, ბონაცოლი, ლუკარელი, მესტო, მელარა, მოცარტი, პასონი
მსაჯი: ბრიგი
13 100 მაყურებელი

**ბოლონია — პარმა**

*წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა*

# ანტონიოლიმ მილანი დააბრუნა



მესინა — მილანი. ერნან კრესპო (მარცხნივ) „შავ-წითლებს" დუბლით შეეწია

**ამ ტურამდე** „იუვენტუსსა" და „მილანს" შორის სხვაობა რვა ქულა იყო, ახლა კი ხუთია და შესაბამისად, საჩემპიონო ბრძოლას ინტერესი ისევ დაუბრუნდა.

ტურინელებმა საშინაო მარცხი იწვნიეს ნაკლებვარსკვლავიან, მაგრამ შესაშურად ორგანიზებულ „სამპდორიასთან". გენუელები კი „დელე ალპიზე" გამარჯვებამ ცხრილში მეხუთეზე აიყვანა.

ერთადერთი გოლი 34-ე წუთზე აიმო დიანამ გაიტანა — კუთხურიდან მოწოდებული ბურთი კრისტიან ძენონიმ ძელს გაარტყა და დიანამაც დამატებაზე იხეირა. თუმცა, მიმომხილველები ერთხმად აღნიშნავენ, მატჩის გმირი არა მეგოლე დიანა, არამედ გენუელთა მეკარე ფრანჩესკო ანტონიოლი იყო. ანტონიოლიმ დავიდ ტრეზეგეს და ზლატან იბრაჰიმოვიჩს ისეთი ბურთები აუღო, გმირად აღიარებას ნაღდად იმსახურებდა.

ხმები „მილანის" ღრმა კრიზისზე გადამეტებული აღმოჩნდა. ეს ლაპარაკი კი მილანელთა ზედიზედ ორ წაგებას მოჰყვა. ამჯერად, მესინაში, ისევ ძველებური „მილანი" ვიხილეთ. საწყის 20 წუთში მასპინძლები ფაქტობრივად არც გადასულან სტუმართა ნახევარზე, პირიქითა მოძრაობა კი ძალზე ინტენსიური იყო. მერე მესინელები ცოტათი გააქტიურდნენ, მაგრამ ანგარიშიდანაც ჩანს, მათ გააქტიურებას თუ რა შედეგიც მოჰყვა.

ერნან კრესპომ და იონ დალ ტომასონმა ორ-ორი გოლი მიითვალეს. კრესპოს ორივე გოლისას ასისტენტობა კაკამ გაუწია, დანიელს კი ჯერ კაფუ, მერე კლარენს ზეედორფი დაეხმარნენ. „მილანს" მეხუთეს გატანაც შეეძლო, მაგრამ ანდრეა პირლომ პენალტი გააცუდა — მარკო სტორარიმ აუღო.

მოიგო მეორე მილანურმა გუნდმაც — „ინტერმა" ობაფემი მარტინსის კინკილა გოლით ბოლოადგილოსანი „ატალანტა" დაამარცხა. ისიც გავიხსენოთ, რომ წინა კვირაში, სათასო შეხვედრაშიც „ინტერმა" „ატალანტას" იმავ ნიგერიელის გოლით მოუგო.

ზედიზედ სამი წაგების მერე მოიგო „უდინეზემაც", რითაც საჩემპიონთალიგო ოთხეულში ადგილი შეინარჩუნა.

„ფიორენტინას" კი, როგორც ჩანს, არაფერი შველის. დინო ძოფის ხელში ფლორენციელებს ჯერ ფრეც ვერ გაუხერხებიათ.

ანგარიში მასპინძელთა მეკარის კრისტიანო ლუპატელის ავტოგოლით გაიხსნა: ლუკა ტონიმ თავურით ძელს გაარტყა, უკან გადმოვარდნილი ბურთი კი მეკარეს მოხვდა და ბადეში ისე შეგორდა. ტონის მონაწილეობითვე გავიდა „პალერმოს" მეორე გოლიც, მან საგოლე პასი მარიანო გონსალესს მისცა. მასპინძლებმა ერთი საპასუხო მიკოლის მეცადინეობით ორ წუთში კი გაქვითეს, მაგრამ...

ლეჩედან ქულა წაიღო „რომამ", მაგრამ დედაქალაქელები აშკარად უკმაყოფილონი უნდა იყვნენ — ერთი რომ, რომაელები გილერმო ჯაკომაცის ავტოგოლით დაწინაურდნენ და, მეორე, ტოტისთან უხეშობისთვის მასპინძლებს კრისტიან ლედესმა გაუძევეს. „რომამ" კი მაინც ვერ მოიგო, საპასუხო გოლი დედაქალაქელებს კაცნაკლულმა მეტოქემ გაუტანა.

**კოტე კეკელია**

| № | სულ |  |  |  |  |  |  | შინ |  |  |  |  |  |  | სტუმრად |  |  |  |  |  |  |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
|  | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 იუვენტუსი | 22 | 15 | 5 | 2 | 38:13 | 25 | 50 | 11 | 8 | 2 | 1 | 19:6 | 13 | 26 | 11 | 7 | 3 | 1 | 19:7 | 12 | 24 |
| 2 მილანი | 22 | 13 | 6 | 3 | 39:15 | 24 | 45 | 11 | 6 | 3 | 2 | 26:11 | 15 | 21 | 11 | 7 | 3 | 1 | 13:4 | 9 | 24 |
| 3 ინტერი | 22 | 8 | 14 | 0 | 42:27 | 15 | 38 | 11 | 5 | 6 | 0 | 22:12 | 10 | 21 | 11 | 3 | 8 | 0 | 20:15 | 5 | 17 |
| 4 უდინეზე | 22 | 11 | 4 | 7 | 31:21 | 10 | 37 | 11 | 6 | 2 | 3 | 18:8 | 10 | 20 | 11 | 5 | 2 | 4 | 13:13 | 0 | 17 |
| 5 სამპდორია | 22 | 10 | 5 | 7 | 23:17 | 6 | 35 | 11 | 4 | 3 | 4 | 7:7 | 0 | 15 | 11 | 6 | 2 | 3 | 16:10 | 6 | 20 |
| 6 რომა | 22 | 9 | 7 | 6 | 41:33 | 8 | 34 | 10 | 5 | 4 | 1 | 23:15 | 8 | 19 | 12 | 4 | 3 | 5 | 18:18 | 0 | 15 |
| 7 პალერმო | 22 | 8 | 8 | 6 | 21:16 | 5 | 32 | 10 | 5 | 3 | 2 | 10:5 | 5 | 18 | 12 | 3 | 5 | 4 | 11:11 | 0 | 14 |
| 8 რეჯინა | 22 | 8 | 7 | 7 | 21:22 | -1 | 31 | 11 | 6 | 2 | 3 | 13:11 | 2 | 20 | 11 | 2 | 5 | 4 | 8:11 | -3 | 11 |
| 9 კალიარი | 22 | 8 | 6 | 8 | 30:35 | -5 | 30 | 11 | 7 | 3 | 1 | 18:10 | 8 | 24 | 11 | 1 | 3 | 7 | 12:25 | -13 | 6 |
| 10 ლეჩე | 22 | 7 | 8 | 7 | 38:39 | -1 | 29 | 11 | 5 | 3 | 3 | 21:17 | 4 | 18 | 11 | 2 | 5 | 4 | 17:22 | -5 | 11 |
| 11 ბოლონია | 21 | 7 | 6 | 8 | 21:20 | 1 | 27 | 10 | 5 | 2 | 3 | 13:9 | 4 | 17 | 11 | 2 | 4 | 5 | 8:11 | -3 | 10 |
| 12 ლივორნო | 22 | 7 | 6 | 9 | 25:29 | -4 | 27 | 12 | 6 | 2 | 4 | 14:12 | 2 | 20 | 10 | 1 | 4 | 5 | 11:17 | -6 | 7 |
| 13 მესინა | 22 | 7 | 6 | 9 | 27:36 | -9 | 27 | 11 | 6 | 3 | 2 | 17:14 | 3 | 21 | 11 | 1 | 3 | 7 | 10:22 | -12 | 6 |
| 14 კიევო | 22 | 6 | 7 | 9 | 20:32 | -12 | 25 | 11 | 4 | 4 | 3 | 11:12 | -1 | 16 | 11 | 2 | 3 | 6 | 9:20 | -11 | 9 |
| 15 ლაციო | 22 | 6 | 6 | 10 | 28:33 | -5 | 24 | 12 | 3 | 4 | 5 | 17:18 | -1 | 13 | 10 | 3 | 2 | 5 | 11:15 | -4 | 11 |
| 16 ფიორენტინა | 22 | 5 | 8 | 9 | 21:27 | -6 | 23 | 11 | 4 | 3 | 4 | 15:12 | 3 | 15 | 11 | 1 | 5 | 5 | 6:15 | -9 | 8 |
| 17 პარმა | 21 | 5 | 7 | 9 | 21:32 | -11 | 22 | 11 | 4 | 5 | 2 | 14:11 | 3 | 17 | 10 | 1 | 2 | 7 | 7:21 | -14 | 5 |
| 18 სიენა | 22 | 3 | 11 | 8 | 18:30 | -12 | 20 | 11 | 1 | 7 | 3 | 9:16 | -7 | 10 | 11 | 2 | 4 | 5 | 9:14 | -5 | 10 |
| 19 ბრეშა | 22 | 5 | 5 | 12 | 15:28 | -13 | 20 | 11 | 2 | 3 | 6 | 6:13 | -7 | 9 | 11 | 3 | 2 | 6 | 9:15 | -6 | 11 |
| 20 ატალანტა | 22 | 1 | 8 | 13 | 15:30 | -15 | 11 | 11 | 1 | 6 | 4 | 10:13 | -3 | 9 | 11 | 0 | 2 | 9 | 5:17 | -12 | 2 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| მონტელა (რომა) | 17 |
| ადრიანო (ინტერი) | 14 |
| შევჩენკო (მილანი) | 13 |
| ბოჟინოვი (ლეჩე/ფიორენტინა) | 11 |
| ტოტი (რომა) | 11 |

**XXIII ტური**

5-6 თებერვალი

| | | |
|---|---|---|
| რომა | : | ბოლონია |
| სამპდორია | : | ფიორენტინა |
| პარმა | : | ინტერი |
| პალერმო | : | იუვენტუსი |
| მილანი | : | ლაციო |
| კალიარი | : | ლეჩე |
| ატალანტა | : | ლივორნო |
| კიევო | : | მესინა |
| რეჯინა | : | სიენა |
| ბრეშა | : | უდინეზე |

### სერია B

**XXIV ტური**

**კატანია 2:0 კატანძარო**

1:0 პადალინო (18), 2:0 ჯედა (38)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჯენოა | 23 | 13 | 9 | 1 | 46:20 | 48 |
| ემპოლი | 23 | 11 | 7 | 5 | 33:20 | 40 |
| პერუჯა | 23 | 11 | 7 | 5 | 31:20 | 40 |
| ტორინო | 23 | 12 | 4 | 7 | 29:22 | 40 |
| ვერონა | 23 | 11 | 5 | 7 | 43:29 | 38 |
| ტრევიზო | 23 | 11 | 5 | 7 | 28:25 | 38 |
| ასკოლი | 23 | 10 | 6 | 7 | 30:28 | 36 |
| ჩეზენა | 23 | 9 | 6 | 8 | 29:31 | 33 |
| პიაჩენცა | 23 | 10 | 2 | 11 | 28:31 | 32 |
| ალბინოლეფე | 23 | 8 | 7 | 8 | 31:27 | 31 |
| კატანია | 24 | 7 | 10 | 7 | 25:28 | 31 |
| ტერნანა | 23 | 7 | 8 | 8 | 24:26 | 29 |
| მოდენა | 23 | 9 | 5 | 9 | 25:26 | 28 |
| ვიჩენცა | 23 | 8 | 4 | 11 | 35:39 | 28 |
| არეცო | 23 | 5 | 12 | 6 | 31:28 | 27 |
| ბარი | 23 | 6 | 10 | 7 | 23:23 | 27 |
| პესკარა | 23 | 6 | 9 | 8 | 24:32 | 27 |
| ტრიესტინა | 23 | 6 | 6 | 11 | 24:33 | 24 |
| სალერნიტანა | 23 | 6 | 6 | 11 | 28:38 | 24 |
| კატანძარო | 24 | 5 | 6 | 13 | 22:42 | 21 |
| კროტონე | 23 | 5 | 8 | 10 | 23:30 | 20 |
| ვენეცია | 23 | 4 | 6 | 13 | 16:30 | 18 |

*„მოდენას" დაკლებული აქვს 4, „კროტონეს" — 3 და „ბარის" — 1 ქულა*

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XXV ტური

**არსენალი 2:4 მანჩესტერი**

1:0 ვიეირა (8), 1:1 გიგზი (18), 2:1 ბერხკამპი (36), 2:2, 2:3 რონალდო (54, 58), 2:4 ოში (89)

**არსენალი:** ალმუნია, ლორენი (ფაბრეგასი 83), ს. კემპბელი (ჰოიტი 79), სიგანი, ეშლი კოული, ლიუნგბერგი, ფლამინი (რეიესი 70), ვიეირა, პირესი, ანრი, ბერხკამპი

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

**მანჩესტერი:** კეროლი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, მ. სილვესტრი, ჰაინცე, ფლეტჩერი (ოში 61), როი კინი, სქოულზი, კ. რონალდო (ვ. ბრაუნი 70), გიგზი (საა 77), რუნი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

გაფრთხილება: პირესი, რეიესი, ჰაინცე, გიგზი, რუნი, რონალდო

გაძევება: სილვესტრი (69)

მსაჯი: პოლი

38 164 მაყურებელი

**ჩარლტონი 1:2 ლივერპული**

1:0 ბარტლეტი (6), 1:1 მორიენტესი (61), 1:2 რიისე (79)

**ჩარლტონი:** კაილი, ლ. იანგი, ჯ. ფორჩუნი, ელ კარკური, ჰრეიდარსონი, ტომა (კიშიშევი 59), მერფი, ჰოლანდი (ჯეფერსი 77), ბ. ჰიუზი (იუელი 66), კონჩესკი, ბარტლეტი

მწვრთნელი: ალან კერბიშლი

**ლივერპული:** დუდეკი, ფინანი, კარაგერი, ჰიიპია, ჯ. ტრაორე, ლუის გარსია (პოტერი 90), ბიშკანი, ჯერარდი, რიისე (უორნოკი 90), მორიენტესი (შმიცერი 88), ბაროში

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

მსაჯი: ბერი

27 102 მაყურებელი

**ბოლტონი 3:1 ტოტენჰემი**

1:0 დიუფი (49პ), 1:1 დეფო (66), 2:1 ბენ ჰაიმი (86), 3:1 დევისი (87)

**ბოლტონი:** იასკელაინენი, ბერნესი (ფადიგა 77), ნგოტი, ბენ ჰაიმი, რ. გარდნერი, ნოლანი, კამპო, სპიდი, დიუფი, კ. დევისი (ჰ. პედერსენი 90), იანაკოპულოსი (იერო 88)

მწვრთნელი: სემ ალარდაისი

**ტოტენჰემი:** პ. რობინსონი, გ. კელი, კინგი, ე. გარდნერი, ედმანი (დეფო 63), ს. დევისი, კარიკი, მ. ბრაუნი, ატუბა, რობი კინი, კანუტი

მწვრთნელი: მარტინ იოლი

გაფრთხილება: კინგი, კანუტი, კანუტი

გაძევება: კანუტი (68)

მსაჯი: დინი

24 780 მაყურებელი

**პორტსმუთი 2:1 მიდლსბრო**

0:1 კრისტი (35), 1:1 ტეილორი (40), 2:1 აიეგბენი (58)

**პორტსმუთი:** ხალკიასი, პრიმუსი, სტეფანოვიჩი, დე ზეუვი, მეთიუ ტეილორი, ბ. ონილი, ა. სისე, ს. ჰიუზი, ბერგერი (როდიჩი 81), ფულერი (სკოპელიტისი 73), აიეგბენი

მწვრთნელი: ველიმირ ზაიეცი

**მიდლსბრო:** შვარცერი, რაიციგერი, საუთგეიტი, კუპერი (მაკმაჰონი 29; გრემი 80), კედრუ, პარლოუ, ჯ. მორისონი, ზენდენი, დაუნინგი, კრისტი (ჟობი 66), ჰასელბაინკი

მწვრთნელი: სტივ მაკლარენი

გაფრთხილება: ტეილორი, პარლოუ, ზენდენი

მსაჯი: კროსლი

19 620 მაყურებელი

**ვესტ ბრომვიჩი 2:2 კრ. პალასი**

0:1 ჯონსონი (47), 1:1 კემპბელი (82), 1:2 რიიჰილაჰტი (90), 2:2 ერნშოუ (90)

**ვესტ ბრომვიჩი:** ჰოულტი, ალბრეხტსენი (რიჩარდსონი 72), პარსი, კლემენტი, პ. რობინსონი, გერა, შიმეკა, უოლვორკი, გრინინგი, კ. კემპბელი, ჰორსფილდი (ერნშოუ 55)

მწვრთნელი: ბრაიან რობსონი

**კრ. პალასი:** კირალი, ბოისი, ჰალი, სორონდო, ბაროუდელი, რუტლეჯი, ლიგერტვუდი, მ. ჰიუზი (ენდრიუსი 90), სუარესი, ფრიდმანი (დ. პაუელი 13; რიიჰილაჰტი 86), ენდრიუ ჯონსონი

მწვრთნელი: იან დოუვი

გაფრთხილება: გერა

გაძევება: სორონდო (12)

მსაჯი: გალაჰერი

25 092 მაყურებელი

**ბლექბერნი 0:1 ჩელსი**

0:1 რობენი (5)

**ბლექბერნი:** ფრიდელი, ნაილი, ტოდი, ნელსენი, დ. მატეო, ემერტონი, დ. ტომპსონი (რიდი 81), მოკოენა, სევიჯი, მ. პედერსენი, დიკოვი

მწვრთნელი: მარკ ჰიუზი

**ჩელსი:** პ. ჩეხი, პ. ფერეირა, გალასი, ტერი, ბრიჯი, ტიაგუ, მაკელელე, ლამპარდი, დაფი, გუდიონსენი (კეჟმანი 82), რობენი (ჯ. კოული 11; იაროშიკი 79)

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

გაფრთხილება: მატეო, დიკოვი, ტერი, კეჟმანი

მსაჯი: რენიე

23 414 მაყურებელი

**ევერტონი 1:0 ნორვიჩი**

1:0 დოჰერტი (8ს.კ.)

**ევერტონი:** მარტინი, ჰიბერტი, სტაბსი, ვეირი (დ. ფერგიუსონი 64), პისტონე, იობო, მაკფადენი (ნეისმიტი 87), კარსლი, ჩეჰილი, კილბეინი, ბენტი (მ. ბენტი 76)

მწვრთნელი: დევიდ მოიესი

**ნორვიჩი:** რ. გრინი, ედვორთი, დოჰერტი, ფლემინგი, დრური (მ. სტიუარტი 46), ენდი ჯონსონი (მაკკენზი 81), ჰოლტი, ფრენსისი, ბრენანი, ჰაკერბი, ეშტონი

მწვრთნელი: ნაიჯელ უორზინგტონი

გაფრთხილება: ჰიბერტი

მსაჯი: ვაილი

37 485 მაყურებელი

**მანჩესტერ სიტი 1:1 ნიუკასლი**

0:1 შირერი (9), 1:1 ფაულერი (49პ)

**მანჩესტერ სიტი:** ჯეიმსი, მილსი, რ. დანი, დისტინი, ტეტჩერი, შ. რაიტ-ფილიპსი, ჯ. ბარტონი, ბოსველტი, მუსამბა, ფაულერი, მაკენი (ბ. რაიტ-ფილიპსი 84)

მწვრთნელი: კევინ კიგანი

**ნიუკასლი:** გივენი, კარი, ე. ობრაიენი, ბრამბლი, ბაბაიარო, ბოიერი, კ. დაიერი (ბათი 63), ჯენასი, ფეიე, შირერი, ამეობი (კლუივერტი 65)

მწვრთნელი: გრემ სუნესი

გაფრთხილება: დისტინი, ბოსველტი, ჯენასი, ბოიერი, ობრაიენი

მსაჯი: დურსო

45 752 მაყურებელი

**ფულემი 1:1 ასტონ ვილა**

0:1 ანხელი (55), 1:1 კლარკი (90)

**ფულემი:** ვან დერ სარი, ვოლცი, ნაითი, რემანი, როსენიორი, კლარკი, პ. ბ. დიოპი, პემბრიჯი, რაძინსკი (კ. ჯონი 68), ენდი კოული (ბ. მაკბრაიდი 73), ბოა მორტე

მწვრთნელი: კრის კოულმენი

**ასტონ ვილა:** სორენსენი, დე ლა კრუზი, მელბერგი, რიდგუელი, ბერი, სოლანო (ჯემბა-ჯემბა 79), ჰენდრი (ჰ. დევისი 64), ბერსონი, ჰიცლშპერგერი, კ. კოული (ლ. მური 46), პ. ანხელი

მწვრთნელი: დევიდ ოლირი

გაფრთხილება: ბოა მორტე, დე ლა კრუზი, ანხელი, დევისი

მსაჯი: ფოი

17 624 მაყურებელი

**ბირმინგემი 2:1 საუთჰემპტონი**

1:0 პანდიანი (12), 2:0 ბლეიქი (41პ), 2:1 კამარა (52)

**ბირმინგემი:** მაიკ ტეილორი, მელხიოტი, კანინგემი, აპსონი, კლეპამი, პენანტი (კარტერი 77), დ. ჯონსონი, კლემენსი, ჯ. გრეი, რ. ბლეიქი (კ. მორისონი 90), პანდიანი (ტებილი 80)

მწვრთნელი: სტივ ბრიუსი

**საუთჰემპტონი:** ნიემი, ტელფერი, დევენპორტი, ლუნდეკვამი, ბერნარი, დელაპი, პრატონი, რედნაპი, ვან დამი (ა. სვენსონი 69), ჯონსი (ა. კამარა 46), კრუჩი

მწვრთნელი: ჰარი რედნაპი

გაფრთხილება: პრატონი, ბერნარი

მსაჯი: უოლტონი

28 797 მაყურებელი

# ხელი ჩამოვართვი, გაღმელო

## გამიხსენე ძმაო? ეს მე ვარ, ალან შირერი!




REUTERS ბლუმბერგიდან

„ბლექბერნი“ — „ჩელსი“ თამაში კი არა, ომი იყო

**პრემიერლიგის** ორ დღეზე გაყოფილ მორიგი ტურში, რომელიც გუშინწინ დასრულდა, კვლავ არ დაცდენია „ჩელსის“ ფეხი: ჟოზე მაურინიუს გუნდმა ჰოლანდიელი არიენ რობენის ადრიანი გოლით ბლექბერნის „ივუდ პარკზე“ მოიგო და უახლოეს მდევართან, „მანჩესტერ იუნაიტედთან“ 11-ქულიანი სხვაობა დაამყარა.

ბლექბერნული მატჩის შემდეგ, მაურინიუმ თავის ბიჭებს სთხოვა, რომ მაისურები „ჩელსის“ გულშემატკივრებისთვის ეჩუქებინათ და ყველამ სტუმართა ტრიბუნისკენ გასწია, სადაც თანამგზავრი ფანები შეყრილიყვნენ.

„ეს თამაში კი არა, ომი იყო — თქვა მაურინიუმ — მასპინძლები მაგრად დაგვიხვდნენ. თამაშის განსაკუთრებული სული შემოგვთავაზეს. მარტო რობი სევიჯი 20-ჯერ დაჯარიმდა და ყვითელიც არ მიუღია. ძალიან ხისტად დაგვიხვდნენ“.

ბლექბერნელთა მენეჯერი მარკ ჰიუზი კი მატჩის შემდეგ გაკვირვებული იყო: „მაურინიუმ ხელიც არ ჩამომართვა თამაშის შემდეგ. ჩვენ ისე ვითამაშეთ, როგორც უნდა ეთამაშაო „ჩელსის“. ეს რა საწყენია?“

კოლეგას მერე არც მაურინიუ ჩამორჩა: „თამაშის წინ ორჯერ ჩამოვართვი ხელი. ახლაც ჩამოვართმევდი, ეს რა სისულელეა? უბრალოდ, ფინალური სასტვენის შემდეგ, ბიჭებისკენ გავიქეცი, მათთან მინდოდა ყოფნა“.

არიენ რობენის გოლი კი მართლაც მშვენიერი იყო: მე-5 წუთზე 20 იარდიდან დარტყმული ბრედ ფრიდელს ტანქვეშ გაუძვრა.

მაურინიუ იმაშიც გამოტყდა, რომ „არსენალ“ — „მანჩესტერის“ მატჩში ამ უკანასკნელთ ქომაგობდა, რადგან თუ „მანჩესტერი“ მოიგებდა, სხვაობა „ჩელსისა“ და უახლოეს მდევარს შორის 10-ის ნაცვლად 11 ქულა შეიქნებოდა.

ერთი ამბავი იყო „გუდისონ პარკზეც“, სადაც „ნორვიჩი“ ქულას იმსახურებდა და მსაჯმა ალან ვაილიმ პენალტი არ დანიშნა მას შემდეგ, რაც ევერტონელ ალან სტაბსს კარში დარტყმული ბურთი ხელზე მოხვდა. „ევერტონმა“ მოიგო ნორვიჩელი გარი დოჰერტის ავტოგოლით, რომელიც სახიფათო მომენტს მოჰყვა: მეკარე რობერტ გრინმა მარკუს ბენტის თავური ბრწყინვალედ მოიგერია, გადმოვარდნილი ბურთი კი დოჰერტის ფეხიდან შევარდა კარში, რაც დანკან ფერგიუსონის ზეწოლის დამსახურება უფრო იყო. ახლა „ევერტონი“ ისევ მეოთხე ადგილზეა და მდევარ „ლივერპულს“ მთელი 7 ქულით უსწრებს.

ალან შირერმა კვლავ გაიბრწყინა: ანგარიში გახსნა მანჩესტერის „სიტის“ სტადიონზე და კევინ კიგანს გაახსენა, ის კაცი ვარ, 15 მილიონად რომ მიმიყვანე „ნიუკასლშიო“. ეს იყო შირერის 250-ე პრემიერლიგური გოლი. თუმც „სიტიმ“ მაინც იხსნა ქულა — რობი ფაულერმა პენალტით გაათანაბრა და კიგანის გუნდი მე-10 ადგილზე დარჩა, „ნიუკასლი“ კი 2 ქულით ჩამორჩება მას.

ამათ შორის კი „ასტონ ვილაა“, რომელმაც შინ ფრედ ითამაშა „ფულემთან“. სტუმრებმა მსაჯის მიერ დამატებულ დროში გაათანაბრეს: კრის კოულმენის გუნდს ტრავმის შემდეგ მომჯობინებულმა კაპიტანმა ლი კლარკმა უშველა.

**ირაკლი გამყრელიძე**

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ანრი (არსენალი) | 16 |
| ენდრიუ ჯონსონი (კრ. პალასი) | 15 |
| დეფო (ტოტენჰემი) | 11 |
| პირესი (არსენალი) | 10 |
| ჰასელბაინკი (მიდლსბრო) | 10 |

### XXVI ტური

5-6 თებერვალი

| | | |
|---|---|---|
| ასტონ ვილა | : | არსენალი |
| ტოტენჰემი | : | პორტსმუთი |
| ჩელსი | : | სიტი |
| კრ. პალასი | : | ბოლტონი |
| ლივერპული | : | ფულემი |
| მანჩესტერი | : | ბირმინგემი |
| მიდლსბრო | : | ბლექბერნი |
| ნიუკასლი | : | ჩარლტონი |
| ნორვიჩი | : | ვესტ ბრომვიჩი |
| საუთჰემპტონი | : | ევერტონი |

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ჩელსი | 25 | 20 | 4 | 1 | 49:8 | 41 | 64 | 12 | 10 | 2 | 0 | 25:3 | 22 | 32 | 13 | 10 | 2 | 1 | 24:5 | 19 | 32 |
| 2 მანჩესტერი | 25 | 15 | 8 | 2 | 41:16 | 25 | 53 | 12 | 8 | 4 | 0 | 22:6 | 16 | 28 | 13 | 7 | 4 | 2 | 19:10 | 9 | 25 |
| 3 არსენალი | 25 | 15 | 6 | 4 | 55:29 | 26 | 51 | 13 | 7 | 5 | 1 | 31:16 | 15 | 26 | 12 | 8 | 1 | 3 | 24:13 | 11 | 25 |
| 4 ევერტონი | 25 | 14 | 5 | 6 | 29:25 | 4 | 47 | 13 | 9 | 1 | 3 | 16:12 | 4 | 28 | 12 | 5 | 4 | 3 | 13:13 | 0 | 19 |
| 5 ლივერპული | 25 | 12 | 4 | 9 | 38:26 | 12 | 40 | 12 | 8 | 1 | 3 | 20:9 | 11 | 25 | 13 | 4 | 3 | 6 | 18:17 | 1 | 15 |
| 6 მიდლსბრო | 25 | 10 | 7 | 8 | 40:35 | 5 | 37 | 12 | 6 | 4 | 2 | 19:12 | 7 | 22 | 13 | 4 | 3 | 6 | 21:23 | -2 | 15 |
| 7 ჩარლტონი | 25 | 11 | 4 | 10 | 29:35 | -6 | 37 | 13 | 7 | 2 | 4 | 21:15 | 6 | 23 | 12 | 4 | 2 | 6 | 8:20 | -12 | 14 |
| 8 ბოლტონი | 25 | 10 | 6 | 9 | 34:32 | 2 | 36 | 13 | 6 | 3 | 4 | 17:12 | 5 | 21 | 12 | 4 | 3 | 5 | 17:20 | -3 | 15 |
| 9 ტოტენჰემი | 25 | 9 | 6 | 10 | 30:29 | 1 | 33 | 12 | 4 | 3 | 5 | 22:18 | 4 | 15 | 13 | 5 | 3 | 5 | 8:11 | -3 | 18 |
| 10 სიტი | 25 | 8 | 8 | 9 | 31:27 | 4 | 32 | 13 | 5 | 5 | 3 | 17:10 | 7 | 20 | 12 | 3 | 3 | 6 | 14:17 | -3 | 12 |
| 11 ასტონ ვილა | 25 | 8 | 8 | 9 | 28:30 | -2 | 32 | 12 | 7 | 3 | 2 | 19:7 | 12 | 24 | 13 | 1 | 5 | 7 | 9:23 | -14 | 8 |
